



სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს დებულება



შინაარსი

| | |
|--|---|
| პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები | 3 |
| მუხლი 1. ზოგადი დებულებები..... | 4 |
| მუხლი 2. სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს ფუნქციები | 4 |
| მუხლი 3. სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს ხელმძღვანელი | 4 |
| მუხლი 4. სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს პერსონალი..... | 4 |
| მუხლი 5. დასკვნითი დებულებები..... | 5 |

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“-ს ნორმატიული დოკუმენტია;
2. დებულება:
 1. შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
 2. დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
 1. სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“-ს ხელმძღვანელის და პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში).
5. დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
 3. სასწავლო-საწვრთნელ გეგმა „ელიტა“-ზე (ელ.ვერსია).
6. ნორმატიული საფუძველი:
 1. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
 2. საზღვაო დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო კონვენცია SOLAS 74 და სხვ.;
 3. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
 4. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
 5. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს შინაგანაწესი (ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება);
 6. ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიგნით ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
 7. ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
 8. ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ბს** - ხარისხის სისტემა;
- ECTS** - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- სდ** - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა** - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;

ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება; **ბნსუ** ან

სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეული - სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“ (შემდგომში - გეგმა) არის ბნსუ-ს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი, რომელიც ასრულებს გასვლას ზღვაში ბნსუ-ს საზღვაო დარგის საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული მომზადების, აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით. ასევე, გეგმა ასრულებს ტრენაჟორის ფუნქციას, სადაც ხდება სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მომზადება საერთაშორისო კონვენციის SOLAS 74-ის შესაბამისად;
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის განკარგულებით.

მუხლი 2. სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“-ს ფუნქციები

გემის ფუნქციებში შედის:

- დამტკიცებული პროგრამები შესაბამისად მეცადინეობების და წვრთნების ჩატარება;
- გასვლები ზღვაში (ბნსუ-ს საზღვაო დარგის საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული მომზადება, აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-სრულყოფა);
- ტრენაჟორის ფუნქცია (ბნსუ-ს საზღვაო დარგის საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მომზადება საერთაშორისო კონვენციის SOLAS 74-ის შესაბამისად);
- საზღვაო კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სამუშაოების შესრულება;
- სხვადასხვა წვრთნების ჩატარება (წვრთნები სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის სფეროში ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სამუშაოების განხორციელება და სხვ.);
- გემზე მეცადინეობების/წვრთნების ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა;
- გემის მოსამსახურე პერსონალის მომზადება, გემის პერსონალის მომზადება სატაკელაჟო სამუშაოებისათვის;
- გემის ტექნიკური მდგომარეობის სისტემატიური შემოწმება და გემის მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა (მექანიზმების, სამანქანო განყოფილების სისტემების, საპერსონალის სისტემის შემოწმება, მექანიზმების და აგრეგატების შეხეთვა, ტუმბოების შემოწმება, წყალის, სახანძრო წყალის, მთავარი ძრავის და დამხმარე მექანიზმების შემადგენელი ნაწილების, დამხმარე მექანიზმების და სისტემების (შეხეთვის სისტემის, საწვავის სისტემის, ზღვის და მტკნარი წყლის სისტემის, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და მისი დანადგარების, ელექტროგაყვანილობის სისტემის და სხვ. შემოწმება).

მუხლი 3. სასწავლო-საწვრთნელი გეგმა „ელიტა“-ს ხელმძღვანელი

1. გემს ხელმძღვანელობს გემის კაპიტანი, რომელსაც კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. გემის კაპიტანს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საზღვაო განათლება და უფროს სამეთაურო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 03 წლის გამოცდილება, ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მი-თითებული მოთხოვნა და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გემის კაპიტანი ამავედროულად არის მთავარი ინსტრუქტორი;
2. გემის კაპიტანს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - შეაფასოს გემზე არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და წინადადებები;
 - მოწოდება მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება გემის ტექნიკურ აღჭურვას, სარემონტო და სხვ. სამუშაოების შესრულებას, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, სამუშაო გეგმებს და სხვ.;
 - დააწესოს კონტროლი დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად მეცადინეობების და წვრთნების ჩატარებაზე;
 - დააწესოს კონტროლი მეცადინეობების და წვრთნების განხორციელებაში ჩართულ პირთა მუშაობაზე;
 - განახორციელოს გემზე ჩატარებულ მეცადინეობებზე და წვრთნებზე დასწრების კონტროლი;
 - გასცეს განკარგულება, მისცეს მითითება და რეკომენდაცია მის დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს.
3. გემის კაპიტანი ვალდებულია:
 - შექმნას სწავლების და წვრთნების ოპტიმალური გარემო და უზრუნველყოს საორგანიზაციო, სწავლების და წვრთნების პროცესთან დაკავშირებული საკითხების დროულად გადაწყვეტა;
 - შეამოწმოს სწავლების ორგანიზება და მიმდინარეობა, გაუწიოს კონტროლი სწავლა-სწავლების ხარისხს, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შექმნილი სიტუაციის შესაბამისი ზომები;
 - უზრუნველყოს გემზე მეცადინეობების და წვრთნების ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით;
 - უზრუნველყოს გემის სათანადო ტექნიკური მდგომარეობა.
4. გემის კაპიტანი პასუხისმგებელია:
 - გემის ტექნიკურ მდგომარეობაზე, შრომითი დისციპლინის და უსაფრთხოების წესების დაცვაზე;
 - გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრაზე.
6. გემის კაპიტანი:
 - წარმოადგენს მის დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულს (გემს) დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;
 - ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს;
 - გეგმავს ძირითად სამუშაოებს სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების განხორციელებისათვის;
 - აწესებს მოვალეობებს გემის პერსონალს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს დაქვემდებარებული პერსონალის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ ბნსუ-ს შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
 - აწესებს და წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის დავალებით;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წარუდგენს წინადადებებს პერსონალის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების პირობების, წინამდებარე დებულებაში შესატანი ცვლილებების, სტრუქტურული ერთეულის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, პერსონალის წახალისების და სხვ. შესახებ;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს იმ მოწყობილობების, ინვენტარის, ტექნიკის და სხვ. შექმნა-ზე/სტრუქტურული ერთეულისთვის გადაცემაზე და სარემონტო/სხვ. სამუშაოების შესრულებაზე, რაც აუცილებელია გემის ფუნქციის შესასრულებლად;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;



- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს;
- ახორციელებს ბნსუ-ს შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს;
- ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 4. სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს პერსონალი

1. სტრუქტურული ერთეულის (გემის) პერსონალს მიეკუთვნებიან:
 - მეცადინეობების და წვრთნების განმახორციელებლები - ინსტრუქტორები;
 - თანამშრომლები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც უზრუნველყოფენ გემის ფუნქციონირებას.
2. ინსტრუქტორები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის მიერ. ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საზღვაო განათლება და უფროს სამეთაურო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 03 წლის სტაჟი. ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული მოთხოვნა და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. თანამშრომლებს კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს და გამოიყენოს დასაქმების პრეტენდენტთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. პერსონალი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის და სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს კაპიტანის სამსახურებრივი დავალებებით;
5. პერსონალი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს კაპიტანის წინაშე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბნსუ-ში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს დებულება;
3. ბნსუ-ს სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს ხელმძღვანელი და პერსონალი ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები;
5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წანამდებრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად. ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“-ს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.